# ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ 50 ᲬᲔᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘ-ᲝᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲓᲐᲜ!

ეროვნული ბიბლიოთეკა





## მწვანეში ჩაფლული ბანაკი

ცხელი ზაფხული დაუდგათ თბილისელებს. ათასობით პიონერმა და მოსწავლემ ქალაქგარე ზონის სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებსა და ბანაკებს მიაშურა.

იმ ბავშვებისთვის, რომლებიც თბილისში დარჩნენ, მოეწყო საქალაქო პიონერული ბანაკები.

ერთ-ერთი ასეთი ბანაკია „მზიური", რომელიც მწვანეში ჩაფლულ „გამარჯვების პარკში" (ორჯონიკიძის რაიონი) გაიხსნა. აქ 170-მდე პიონერი ისვენებს.

ამჟამად „მზიურში" უჩვეულო გამოცოცხლებაა: მიმდინარეობს ბანაკის სპარტაკიადა (ფიზაღზრდის მასწავლებელი ი. მანაგაძე).

სპარტაკიადის პროგრამაშია ფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ბაგირის გადაძალვა და სპორტის სხვა სახეობები. შეჯიბრებებში თავი გამოიჩინეს 1-ლი რაზმის ნორჩმა სპორტსმენებმა ნ. ნიჟარაძემ, ქ. ფურცელაძემ, გ. დონჯაშვილმა, გ. კოხოსოვმა.

პიონერთა ბანაკის სპორტსმენები მონაწილეობენ, აგრეთვე, მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებაში, რომელიც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას ისახავს მიზნად.

• • •

**სურათებზე:** მ. კუპრავა ყველას ამცნობს ბანაკის სპარტაკიადის დაწყებას; თამაშობენ ნორჩი მოჭადრაკეები; ვისი რაზმი უფრო ძლიერია?

ვ. სოკოლოვის ტექსტი და ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 126 (5156)

1974 წ. 27 ივნისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## პიონერთა დიდი ზეიმი ბათუმში

გუშინ ბათუმში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს პიონერთა VI რესპუბლიკური შეკრება. ნორჩი ლენინელების ეს ფორუმი ეძღვნება კომკავშირისა და პიონერული ორგანიზაციისთვის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელის მინიჭების 50 წლისთავს.

შეკრებაში მონაწილეობენ პიონერთა რაზმეულების საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებმაც თავი ისახელეს საკავშირო პიონერულ მარშში „მზად ვარ". მარშის ერთ-ერთი მარშრუტია „ძლიერნი, გამბედავნი, მარდნი". ამ მარშრუტზე პიონერებმა ჩააბარეს მშდ კომპლექსის ნორმატივები, მონაწილეობდნენ სამხედრო-პატრიოტულ თამაშში „ცისკარა".

საქართველოს პიონერებმა საქმით დაამტკიცეს, რომ ერთგულნი არიან პიონერთა კანონის შემდეგი სტრიქონებისა: პიონერი პატივს სცემს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას და ემზადება, რომ სამშობლოს დამცველი გახდეს.

პიონერთა რესპუბლიკური შეკრება იქნება ძმობისა და მეგობრობის დიდი ზეიმი. ნორჩ ლენინელებს ეწვევიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები, გამოჩენილი სპორტსმენები, ვეტერანი პიონერები.



## ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

**ლვოვი, 25 ივნისი.** სახმელეთო ჯარების ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრებაში ლენინგრადელმა ა. ეგრიშინმა სსრ კავშირის ორი რეკორდი დაამყარა. რევოლვერით შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში მან 596 ქულა მოაგროვა (ეს ევროპის რეკორდის გამეორებაა), ხოლო მცირეკალიბრიანი პისტოლეტის შავ სამიზნეებზე შეჯიბრებაში — 584 ქულა აჩვენა, რაც გ. კოსიხის მსოფლიო რეკორდზე ბევრად უკეთესია.

## ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲖᲔ

ლონდონი, 26 ივნისი. მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს უიმბლდონის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც დასაბამი 1877 წელს მიეცა. სტარტი ჩინებულად აიღეს საბჭოთა გუნდის წევრებმა ა. მეტრეველმა და თ. კაკულიამ. პირველმა დაამარცხა მასპინძელი ჯ. ფივერი—6:2, 6:3, 3:6, 6:1. კაკულიას მეტოქე იყო ამერიკელი უ. მარტინი. თბილისელმა ჩოგბურთელმა მეტოქეს მოუგო ანგარიშით 8:6, 6:1, 5:7, 6:4.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲡ

ტირასპოლი, 25 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა XXXIV საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში დღეს IX ტური გათამაშდა. ბრძოლა ყველა შეხვედრაში უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. ამიტომაც შვიდი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) შეხვდა ნ. ალაბაბიანს (სტეპანაკერტი). ნორჩმა საერთაშორისო ოსტატმა პაიკი მოიგო და პარტია პერსპექტიულ დაბოლოებაში გადადო. თ. ხუგაშვილისა (თბილისი) და კ. ზვორიკინას (მინსკი) პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში. ასეთივე მდგომარეობაა ტ. ფომინა (ტალინი) — ი. ბერზინიას (რიგა) პარტიაში.

დამარცხდა ტ. კოსტინა (მინსკი) ნ. ჩერნოვასთან (ლენინგრადი). მას მოსაგები მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ცაიტნოტში შეცდა და ეტლი დაკარგა.

9 ტურის შემდეგ თ. ხუგაშვილს 6 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, მ. ჩიბურდანიძეს — 6 (1), ტ. კოსტინას 5 (1), ტ. ფომინას — 4,5 (3).

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

### ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

## ᲙᲝᲖᲚᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ — 5,5 : 5,5

ᲙᲘᲡᲚᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘ, 25 ივნისი. დღეს აქ დამთავრდა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) ნახევარფინალური მატჩის I დამატებითი პარტია. როგორც ცნობილია, ეს პარტია დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში იყო გადადებული. მეტოქეები თამაშის განუახლებლად დაზავდნენ.

26 ივნისს გაიმართება II დამატებითი პარტია. თეთრებით ლევიტინა ითამაშებს.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-74

● ᲡᲝᲤᲘᲐ, 25 ივნისი. მხატვრული ტანვარჯიშის ბულგარელი ოსტატების გამარჯვებით დამთავრდა მათი ტრადიციული შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან. მასპინძლებმა 141,2 ქულა დააგროვეს. საბჭოთა გუნდი ბულგარელებს 1,2 ქულით ჩამორჩა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ცნობილმა ბულგარელმა ტანმოვარჯიშემ კ. ფილიპოვამ — 28,9 ქულა. მან 0,65 ქულით გაუსწრო თანამემამულეებს მ. ზახარიევასა და კ. ბლაგოევას, აგრეთვე, საბჭოთა ტანმოვარჯიშე ა. ზასუხინას. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. კრაშენინიკოვა ამჯერად მეხუთე იყო.

## „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲙᲝᲠᲢᲔᲑᲖᲔ

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲨᲘ

უკვე კარგა ხანია ქართულ ჩოგბურთში გულდამშვიდებისა და უდარდელობის ატმოსფერო გამეფდა. ერთის მხრივ ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ა. მეტრეველისა და თ. კაკულიას დიდმა წარმატებებმა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ამ ულამაზესი სპორტის გულშემატკივრები დაარწმუნა საქართველოს ჩოგბურთელთა სიძლიერეში. მაგრამ, ვითომ მართლა ასე კარგადაა დღეს ჩვენს ჩოგბურთში საქმე? სწორედ ამ კითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი ახლახან თბილისში „დინამოს" კორტებზე დაწყებულმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა.

მით უმეტეს, რომ შეჯიბრებაში მეტრეველი და კაკულია არ მონაწილეობენ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დავინახოთ, რას წარმოადგენს ჩვენი ჩოგბურთი ულიდერებოდ. დაველოდოთ ჩემპიონატის ფინიშს.

შეჯიბრების სტარტზე გაიმარჯვეს: ქალებში — რ. აბჟანდაძემ, ხ. კეკელიამ, ლ. აბუაშვილმა, ტ. შაპოვალოვამ; ვაჟებში — ლ. მძინარიშვილმა, ვ. ოსიპოვმა, გ. ბურჩინმა და ა. კეკელიამ.

# გამარჯვება მეტს ავალებს

## ფორმულებით ტრასაზე

„ლელო" უკვე წერდა, რომ ლენინგრადში, ი. გაგარინის სახელობის პრიზის გათამაშებაში საქართველოს „სპარტაკის" ავტომობილისტებმა წარმატება მოიპოვეს, მაგრამ მაშინ გაზეთს საშუალება არ ჰქონდა მკითხველისთვის ამ ბრძოლის დაწვრილებითი ანგარიში მიეწოდებინა.

ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის ტერიტორიაზე გამართული კარტინგისტთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მსვლელობის დროს ვინახულეთ ლენინგრადის ასპარეზობის ერთ-ერთი მონაწილე ვიტალი სავიცკი და ვთხოვეთ მას დაწვრილებით ეამბნა შეჯიბრების შესახებ.

— ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში ექვსი მოძმე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ავტომობილისტები მონაწილეობდნენ, — თქვა ვ. სავიცკიმ, — თითოეულ გუნდში 6 სპორტსმენი გამოდიოდა სხვადასხვა კლასისა თუ ფორმულის სარბოლო და სპორტული მანქანებით, ჩათვლაში კი სამი საუკეთესო მაჩვენებელი შედიოდა.

ლენინგრადის საგზაო-კვეცილო-რკალურ ტრასაზე, რომლის საერთო სიგრძეც 3250 მეტრია, მონაწილეთ თითო ცდა ეძლეოდათ. სპორტსმენებს ყოველ ცდაზე 40 წრე უნდა შემოევლოთ, სულ კი 130 კილომეტრი ჰქონდათ გასავლელი. „ჟიგულები" და „მოსკვიჩები" ერთ კლასად გაერთიანდნენ, სადაც პირველობისთვის 17 მანქანა იბრძოდა.

სტარტიდან დაწინაურდნენ თბილისელი სპორტის ოსტატი მამრიკიშვილი (თბილისის მსუბუქი ტაქსების № 4 საწარმო), სავიცკი (თბილისის მსუბუქი ტაქსების № 3 საწარმო) და მოლდავეთის გუნდის ორი წევრი. მესამე წრიდან რბოლას სათავეში ჩაუდგა სავიცკი, რომელიც მეტოქეებს თანდათან შორდებოდა. როცა რბოლა დასრულდა, იგი მონაწილეთა ნახევარზე მეტს ერთი წრით უსწრებდა.

სავიცკიმ, რომელიც „ჟიგულით" ასპარეზობდა, პირველობა დაისაკუთრა. მამრიკიშვილი „მოსკვიჩ-412"-ით ასპარეზობდა, იგი დიდხანს მესამე მიდიოდა, მაგრამ ფინიშამდე ცოტა ხნით ადრე IV ადგილზე გადაინაცვლა. თბილისის მსუბუქი ტაქსების № 4 საწარმოს შოფერი მოროზოვი ამ შეჯიბრებაში VI ადგილზე გავიდა.

ასევე დაძაბული გამოდგა „ვოლგებით" რბოლა. აქ საქართველოდან ოთხი მანქანა გამოდიოდა, მაგრამ ამ ეკიპაჟებიდან ზოგი პირადი პირველობისთვის იბრძოდა. ოთხივე თბილისელმა — მსუბუქი ტაქსების № 4 საწარმოს მძღოლებმა გარსევანიშვილმა, ლოგინოვმა, მარტიროსიანმა და № 3 საწარმოს წარმომადგენელმა თვაურმა სტარტიდან ხელთ იგდეს ლიდერობა. მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ მოსკოველები იუშინი და ტერენეცკი. გარსევანიშვილი მანქანის დაზიანების გამო რბოლას გამოეთიშა. მერე მარტიროსიანიც ჩამორჩა. მეოთხე წრიდან თვაური დაწინაურდა. დისტანციის ნახევარზე მეტს იგი ერთპიროვნულად ლიდერობდა, მაგრამ მერე, როცა ამას არავინ ელოდა, თბილისელის მანქანას გაზის შესაწოვი დაუზიანდა. სპორტსმენმა გზადაგზა ორჯერ შეაკეთა მანქანა, რაც ძვირად დაუჯდა — პოზიციები თანდათან დაკარგა და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩა. გაიმარჯვა მოსკოველმა ზამისლოვმა. ლოგინოვი III ადგილზეა.

საქართველოს ავტომობილისტებმა შარშანწინ იური გაგარინის სახელობის პრიზი მოიპოვეს, მაგრამ შარშან იგი მოსკოველებთან დაძაბულ ბრძოლაში წააგეს და რევანშისთვის მზადებასაც მაშინვე შეუდგნენ, მით უმეტეს, რომ ავტოსპორტი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ტექნიკურ სახეობათა პროგრამაშიც შედის და ძალა ძალების შემოწმება არავის აწყენდა.

სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბორის შულცმა გამოცდილება და ენერგია არ დაზოგა, რომ ბიჭებს თავიანთი ოსტატობა წლეულსაც დაედასტურებინათ. პრიზის დაბრუნება სპორტსმენებს ხომ საგაისო ბრძოლებში წარმატების რწმენასაც შესძენდა...

... ამრიგად, „ჟიგულით", „მოსკვიჩებითა" და „ვოლგებით" რბოლაში საქმის ნახევარი გაკეთებული იყო, მაგრამ წინ კიდევ სამი რბოლა გველოდათ — სხვადასხვა ფორმულის სპორტული, აგრეთვე, კონსტრუქციული ცვლილებების ავტომანქანებით შეჯიბრება. გარდამავალი პრიზის დაბრუნებისთვის ერთი პირველი ადგილიც საკმარისი იყო. ეს პირველი ადგილი რესპუბლიკის ნაკრებს მოუტანა დგებუაძემ (№ 3 საწარმო), რომელიც II ფორმულის მანქანით (27 წრეზე რბოლაში) მეხუთე წრიდან დაწინაურდა და შემდეგ ლიდერის პოზიციები ბოლომდე აღარ დაუთმია — ყველა მეტოქეს საგრძნობლად გაუსწრო.

როცა მსაჯთა კოლეგიამ შედეგები შეაჯამა, გამოირკვა, რომ საქართველოს ავტომობილისტებს ყველა მეტოქე დაემარცხებინათ და თასიც მათი საკუთრება გახდა.

თასის შარშანდელ მფლობელებს — მოსკოველებს ლენინგრადელებმაც აჯობეს.

საქართველოს გუნდი ხანმოკლე შესვენების შემდეგ ისევ ლენინგრადს მიაშურებს და სპარტაკიადისთვის მზადების მორიგ ციკლს გამართავს. საქმე ისაა, რომ როგორც ვ. სავიცკი ამბობს, საქართველოში სპორტსმენებს წვრთნის პირობები (ტრასა) არა აქვთ. მართალია, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო მანქანებითა და სათადარიგო ნაწილებით გუნდს ყოველნაირად ხელს უწყობს, მაგრამ რუსთავის მიდამოებში ავტოსტრადის მშენებლობის დამთავრებას საშველი არ დაადგა, სხვა რესპუბლიკებში სპორტსმენთა საწვრთნელად მიყვანა კი ზედმეტ ხარჯებს იწვევს.

ვ. ხანუმიანი.

• • •

სურათზე: თბილისელი ავტომობილისტები მორიგ ვარჯიშზე.

თ. დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თეთრი ეტლი" თბილისში

ამას წინათ მოგილიოვის სპორტის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა პიონერრაზმელთა VI საკავშირო გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზზე".

სარბიელზე გამოვიდა მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის ნორჩ მოჭადრაკეთა 20 გუნდი (თითოეულში — 4 ბიჭი და ერთი გოგონა). ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის გუნდით (გ. ხომერიკი, ი. კუზმინი, ა. თოფურია, ბ. გორთხია, თ. ებანოიძე), რომლის წევრებიც ეს ერთი წელია ჭადრაკის საიდუმლოებას უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკურ სკოლაში (მწვრთნელები ო. თურქესტანიშვილი, შ. ინწკირველი) ეუფლებიან.

შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდა. ნახევარფინალური შეხვედრები შვეიცარიული სისტემით (5 ტური) მიმდინარეობდა. ფინალში ბრძოლას განაგრძობდნენ I-VI ადგილზე გასული კოლექტივები.

ნახევარფინალურ ტურნირში თბილისელმა პიონერებმა სძლიეს ქ. მოსკოვსკაიას (ტაჯიკეთი) 1-ლი და ტაშკენტის მე-17 სკოლების გუნდებს (თითოეულს — ანგარიშით 3,5:1,5), ყაიმით დაამთავრეს შეხვედრები ჟიტომირის 25-ე, ტირასპოლის მე-6 საშუალო სკოლების გუნდებთან (თითოეულთან ანგარიშით 2,5:2,5) და დამარცხდნენ (2:3) ნოვოსიბირსკის 47-ე სკოლის კოლექტივთან.

ფინალში ბრძოლა განაგრძეს პლუნგეს 1-ლი, ნოვოსიბირსკის 47-ე, რიგის 1-ლი, თბილისის № 1 ექსპერიმენტული, ლენინგრადის მე-11 და ჟიტომირის 25-ე საშუალო სკოლების გუნდებმა (ნახევარფინალში ამ გუნდებმა I-VI ადგილები ასეთივე თანმიმდევრობით დაიკავეს).

ფინალურ ტურნირში თბილისელებმა პირველსავე ტურში დაამარცხეს ლენინგრადელთა ძლიერი კოლექტივი (5:0) და ერთპიროვნული ლიდერებიც გახდნენ.

III ტურში თბილისელმა პიონერებმა რიგელებთან მარცხი იწვნიეს 1,5:3,5. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რიგის გუნდში თამაშობდა 2 ბიჭი და 3 გოგონა, რისთვისაც მას ხუმრობით „ამორძალების" გუნდი უწოდეს. მოჭადრაკე გოგონებმა ბევრი თანატოლი ბიჭი დაამარცხეს.

დასკვნითი ტურის წინ თბილისელ პიონერებს 14 ქულა ჰქონდათ, ხოლო პლუნგელებს — 13,5. მათს შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის „თეთრი ეტლის" ბედი. თბილისელმა მოსწავლეებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3,5:1,5 და „თეთრი ეტლიც" დაისაკუთრეს.

სატურნირო ცხრილში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. თბილისი — 17,5 ქულა, II. პლუნგე — 15, III. რიგა — 13,5, IV. ნოვოსიბირსკი — 12, V. ჟიტომირი — 11,5, VI. ლენინგრადი — 5,5.

თბილისელი პიონერები ქების ღირსნი არიან. თითოეულმა მათგანმა გარკვეული წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში. IV კლასის მოსწავლემ თ. ებანოიძემ 10 შეხვედრაში 9 ქულა მოაგროვა და პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა. გუნდის კაპიტანმა გ. ხომერიკმა 7,5 ქულით I-II ადგილები გაიყო რიგელ დ. ანტომასთან პირველ დაფაზე. ფინალში ბ. გორთხიამ გუნდს 3,5 ქულა შესძინა.

თავისუფალ დღეებში „თეთრი ეტლის" მაძიებელი სტუმრები ეცნობოდნენ მოგილიოვისა და ოლქის ღირსშესანიშნაობებს. მათ მონაწილეობა მიიღეს ფაშისტური უღლისგან ბელორუსიის განთავისუფლების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმშიც.

პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და საჩუქრებით. საქართველოს უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 სკოლის საგანგებო პრიზი გადაეცა მოგილიოველ მოსწავლეს ო. ლომატინას აბსოლუტური შედეგისთვის — 10 ქულა 10-დან.

თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის პიონერ მოჭადრაკეთა დიდი წარმატება მათი მომავალი მიღწევების საწინდარია.

რ. თავართქილაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათზე: „თეთრი ეტლის" მფლობელი — თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა გუნდი (მარცხნიდან) — ბ. გორთხია, ი. კუზმინი, გ. ხომერიკი, თ. ებანოიძე, ა. თოფურია.

ი. იუნაევის ფოტო.

# ოლიმპიადის სუნთქვა

ჭადრაკის სამყარო დიდი გატაცებით ადევნებს თვალს XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მსვლელობას. ხმელთაშუა ზღვის სახელგანთქმული აგარაკი ნიცა ამ დღეებში საჭადრაკო ცხოვრების ეპიცენტრად იქცა. აქ შეხვდებით თითქმის ყველა უძლიერეს მოჭადრაკეს, გარდა მსოფლიო ჩემპიონ რ. ფიშერისა, რომელმაც შეჯიბრებაში მონაწილეობას კვლავ აარიდა თავი. სხვათა შორის, დაირხა ხმა, ფიშერი აპირებს ფიდე-ს კონგრესში მონაწილეობის მიღებას და აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციის დირექტორ-განმკარგულებელს ედმონდსონს სთხოვა ნიცის თვითმფრინავის ბილეთი და სასტუმროს ნომერი დაეჯავშნა.

ფრანგმა ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს, რომ ოლიმპიადა ჩინებულად ჩატარდეს. ნიცის გამოფენათა სასახლე მოჭადრაკეთა აღტაცებას იწვევს თავისი გრანდიოზულობით. „ფიშერს რომ ენახა, სად უნდა ეთამაშა, უეჭველად მიიღებდა მონაწილეობას ოლიმპიადაში", — თქვა იუგოსლაველმა დიდოსტატმა ლ. ლიუბოევიჩმა. მართლაც, მოჭადრაკეთა სარბიელი სიგრძით 158 მეტრია, სიგანით — 93. მაყურებლებს შეუძლიათ პარტიებს უყურონ ორი-სამი მეტრის მანძილიდან.

მაგრამ ზოგიერთი მონაწილე უკმაყოფილოა მასპინძლობით, კვებით, იმით, რომ სასტუმროში ხმაურია. ბევრ შენიშვნას იწვევს ტრანსპორტიც. სასტუმროდან სათამაშო დარბაზამდე 45 წუთის სავალი გზაა. შემთხვევითი არ არის, რომ I ტურის მატჩზე სპასკიმაც დაიგვიანა, წერს შოტლანდიელთა გუნდის წევრი, ოსტატი ლევი.

ოლიმპიადას ახალგაზრდა ენთუზიასტები ემსახურებიან და, ცხადია, ორგანიზაციულ საკითხებში მათ გამოცდილება აკლიათ.

ვიღაცამ ყურადღება მიაქცია, რომ აუტსაიდერი გუნდები მეტ პატივისცემაში არიან, ვიდრე ფავორიტები. მასპინძლები ხუმრობენ, ეს შანსების გათანაბრებააო.

დაძაბული ბრძოლა მოულოდნელობებითაცაა სავსე. ვინ იფიქრებდა, რომ ფილიპინების მოჭადრაკეები დაამარცხებდნენ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდებს ერთნაირი ანგარიშით — 3:1. ფილიპინელთა ლიდერმა ოსტატმა ე. ტორემ მოუგო ამ გუნდების ლიდერებს, სახელგანთქმულ დიდოსტატებს ლ. პორტიშსა და ვ. პორტს.

ზოგიერთმა მონაწილემ ფეხბურთელთა და ჰოკეისტთა ჩვეულება გადაიღო: როცა ანდორის ერთ-ერთმა მოჭადრაკემ თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა, თანაგუნდელებმა მას კოცნა დაუწყეს და ხელში აიტაცეს...

დიდ ინტერესს იწვევს ოლიმპიადის სიმბოლოს — ფილიბერის ყოველი გამოჩენა. ფილიბერს სახეზე ნიღაბი აქვს აფარებული, ჩაცმულიც ისეა, რომ ვერავინ იცნობს. სინამდვილეში იგი ოლიმპიადის ერთ-ერთი მონაწილეა. ფილიბერი ყველას სიამოვნებით ეთამაშება ბლიცპარტიებს. მისი შეხვედრა ფიდე-ს პრეზიდენტ მ. ეივესთან ყაიმით დამთავრდა.

ვირჯინიის კუნძულების გუნდში ორი ქალია. ერთმა არ იცის პარტიის ჩაწერა და ამიტომ მსაჯთა კოლეგიამ წესი დაარღვია: კაპიტანს „დახმარების" უფლება მისცა.

ოლიმპიადაზე მეგობრული სულისკვეთებაა გამეფებული, მართლდება ფიდე-ს დევიზი — „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ".

## საბჭოთა დიდოსტატები არ ცხრებიან

ნიცა, 26 ივნისი. XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალში გაიმართა XI ტურის შეხვედრები. სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა ფინეთის ნაკრები — 4:0. საბჭოთა გუნდში თამაშობდნენ ა. კარპოვი, ვ. კორჩნოი, ტ. პეტროსიანი და გ. კუზმინი.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: სსრ კავშირი — 34 ქულა, იუგოსლავია — 27,5 (2), ბულგარეთი — 27,5, ჰოლანდია — 26,5, აშშ — 25,5 (2), უნგრეთი — 25.



საკდესი მოგვითხრობს

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### იმიერპოლარეთის გზებზე

— წლეულს 350 ათასი ადამიანი გაატარებს შვებულებას იმიერპოლარეთში. ეს შარშანდელზე ორჯერ მეტია. ასეთი „ნახტომი" განაპირობა პირველ ყოვლისა ნახევარკუნძულზე ტურიზმის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნამ, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს მურმანსკის ტურიზმისა და ექსკურსიების საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ე. სოლოვიოვმა. — დამსვენებელთა განკარგულებაშია კომფორტაბელური ტურისტული კომპლექსები: „69-ე პარალელი" მურმანსკში, „ლაფლანდია" მონჩეგორსკში, „ხიბინი" კიროვსკში.

კოლის ნახევარკუნძულის ოთხ საკავშირო ტურისტულ მარშრუტს ახლა კიდევ სამი ემატება: ოლქის ქალაქებში (ერთი მურმანსკში იწყება, მეორე — კიროვსკში), მთის წყალვარდნილებზე და ხიბინის ტუნდრაში.

ზღვაზე მოგზაურობის მოყვარულებისთვის მოგზაურობათა და ექსკურსიათა ბიურო ერთ-ერთი თბომავლით აწყობს კრუიზს არქტიკაში. მსურველებს შეუძლიათ იმოგზაურონ კოლის ნახევარკუნძულის გარშემო, ნახონ საბრძოლო დიდების ადგილები და სახელგანთქმული ნაკრძალები თეთრი ზღვის კუნძულებზე.

გ. ზასუხინი.

მურმანსკი.

### ტურისტთა არმია იზრდება

ახალი ხუთწლედის მანძილზე დონეცკის ოლქში ტურიზმის მიმდევართა რიცხვი თითქმის სამჯერ გაიზარდა. მშობლიურ მხარეში მოგზაურობის მოყვარულები გაერთიანებული არიან 86 კლუბში და ათასზე მეტ სექციაში საწარმოებში, მშენებლობებზე, სოფლად. 240 მსვლელ ტურისტულ მარშრუტს წლეულს კიდევ 10 დაემატება. ტურისტები ეცნობიან პირველი ტრაქტორისტი ქალის პაშა ანგელინას მშობლიურ კუთხეს, დაათვალიერებენ მეცხრე ხუთწლედის ახალ მშენებლობებს, აზოვის წითელი ფლოტილიის ბრძოლის ადგილებს, იმოგზაურებენ დონბასის პატარა მდინარეებზე...

ფიქრობენ, რომ წლეულს ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობას მიიღებს თითქმის მილიონ-ნახევარი ადამიანი — შარშანდელზე 300 ათასით მეტი.

ი. დონჩენკო.

სლავიანოგორსკი.

### „გრანიტასის" მტკიცე საძირკველი

„გრანიტასის" მშენებელთა გაერთიანებულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა საკუთარი ძალებით ააგო სპორტის სახლი.

— სპორტული ბაზის განმტკიცება მომავალ წარმატებათა მთავარ პირობად მიგვაჩნია, — თქვა კოლექტივის თავმჯდომარემ, № 1 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილემ ე. გერძახავიჩიუსმა.

„გრანიტასი" 1500 კაცს აერთიანებს. ყოველ მეოთხეს უკვე მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანი აქვს ან ამთავრებს ნორმატივების ჩაბარებას.

მშენებლებმა მოიგეს საქალაქო სპარტაკიადა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ავტომობილისტებმა და აფროსნებმა. წინ წავიდნენ მსროლელებიც, რომლებსაც სპორტის ოსტატი ვ. სტაკიონისი ხელმძღვანელობს.

ქალაქში პოპულარული კოლექტივის ქომაგებს გული დასწყვიტა „გრანიტასის" ხელბურთელთა მარცხმა ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. ოსტატთა გუნდმა, რომელიც რეზერვისთვის ზრუნავს, „ჟალგირისის" ბავშვთა სკოლაზე აიღო შეფობა და ნორჩ ხელბურთელებს თავის ახალ სპორტის სახლში გამოუყო ადგილი სავარჯიშოდ.

კაუნასი.

### ახალსახლობა ნიჩბოსნობის დედაქალაქში

ტრაკაიში გაიხსნა სანიჩბოსნო სპორტის ახალი ბაზა, სადაც პირველ დღესვე ჩატარდა სამი ასპარეზობა: ვილნიუსის VI სპარტაკიადა, სპორტსაზოგადოება „ჟალგირისის" ტურნირი და შეიარაღებულ ძალთა საკავშირო პირველობა იუნიორთა შორის.

კომპლექსი, რომელიც „ჟალგირისმა" ააგო ჰალვეს ტბაზე, მნახველს იზიდავს ორიგინალური კონტურებით, შორიდან გაშლილ კარვებს რომ ჰგავს. სპორტსმენთა განკარგულებაშია 120 ნავის ელინგი და 70-ადგილიანი სასტუმრო. წყალზე გაკეთებულია მუდმივი 2-კილომეტრიანი ბილიკები.

ამ ბაზაზე იმეცადინებს „ჟალგირისის" ვილნიუსის ნიჩბოსნობის სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ოლიმპიადების პრიზიორი, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ზ. იუკნა. აქვე იმეცადინებს ტრაკაის სკოლა-ინტერნატის ექსპერიმენტული ჯგუფი.

ახალი კომპლექსი ნიჩბოსნობის ეს უკვე მესამე ბაზაა, რომელიც ლიტვაში აიგო მიმდინარე ხუთწლედში. მის გარდა მწყობრში ჩადგა ოლიმპიური კომპლექსი ბირშტონასში, მდინარე ნამუნასზე, და დინამოს ბაზა ტრაკაიში. სპორტსაზოგადოება „ნიამუნასისა" და ვილნიუსის უნივერსიტეტის ბაზებმა, რომლებიც ასევე რესპუბლიკის ნიჩბოსნობის დედაქალაქში მდებარეობენ, წლეულს ახალი შენობები მიიღეს.

ტრაკაი (ლიტვა).



ტალინის საცდელ-მექანიკურ ქარხანა „ტეგრასში" სამოტოციკლო სპორტი მაღალ დონეზე დგას.

ქარხნის სპორტსმენები ბევრს მუშაობენ სარბოლო მოტოციკლების სრულყოფისთვის. ვ. პელმის ხელმძღვანელობით აიგო ოთხი ახალი ეტლიანი სარბოლო მოტოციკლი. მანქანებს აქვს ჩეხოსლოვაკიური წარმოების „ჩზ" მარკის ორ-ორი ძრავა (თითოეული — 250 კბ სმ მოცულობისა). დანარჩენი ყველაფერი ქარხნის სპორტსმენთა ხელითაა გაკეთებული. გამოცდა ყველა მანქანამ წარმატებით ჩააბარა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი საგზატკეცილო-წრიულ რბოლაში ვ. პელმი.

პ. კუზნეცოვის ფოტო.



## დავით ცომაია 70 წლისაა

70 წელი შეუსრულდა ჩვენი ფეხბურთის ამაგდარ ადამიანს, რომელმაც ნახევარ საუკუნეზე მეტი შეხწირა ამ სახეობის განვითარებას რესპუბლიკაში, იდგა მის სათავეებთან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დასაწყისიდანვე.

დავით ცომაიამ ფეხბურთის თამაში დაიწყო 1920 წელს სოხუმში, მეკარედ. ძან მალე მოიპოვა საერთო აღიარება გაბედული, მაღალტექნიკური თამაშით, 1924 წელს გადმოვიდა თბილისში და ერთი წლის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის „დინამოში", რომლის შექმნის ერთ-ერთი მოთავეც თვითონ იყო. შემდეგ იგი გამოდიოდა „მეტალისტში", თბილისისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებში.

მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, დავით ცომაიამ თავისი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა საფეხბურთო საქმიანობას, მსაჯობას, მწვრთნელობას, ახალგაზრდა მოთამაშეთა აღზრდას. იგი იყო თბილისის „ლოკომოტივის", 85-ე სპეციალიზებული საშუალო სკოლის, 26 კომისრის რაიონის გუნდების მწვრთნელი, მუშაობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრის გამგედ, ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფეხბურთს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში და ახლაც, პენსიაზე გასვლის შემდეგ, განაგრძობს მუშაობას ამ დარგში ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში.

ქართული ფეხბურთის განვითარებისა და მაღალკვალიფიციური [illegible] [illegible] სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები.

70 წლის ასაკში ძნელია ფეხბურთის რთული და ბობოქარი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდე, აჰყვე მის სწრაფ დინებას, მაგრამ ცომაია კვლავ იქაა, სადაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაუტარებია, სადაც ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმე გაუკეთებია.

ვუსურვებთ იუბილარს სიმხნევეს და ჯანმრთელობას, რათა თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება კვლავაც მოახმაროს ქართული ფეხბურთის განვითარებასა და წინსვლას.

• •

### ნახევარი საუკუნე — ფეხბურთის სამსახურში

დიდი და დაუფასებელია იმ ხალხის ღვაწლი, ვინც ქართულ ფეხბურთს ერთგულად, უღალატოდ ემსახურება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე. ერთ-ერთი ღირსეული ვეტერანი, რომელიც დღესაც ფეხმოუცვლელად დგას ჩვენი ფეხბურთის სადარაჯოზე, ხანდაზმულ ასაკშიც იღწვის მისი ინტერესებისთვის, არის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე დავით ცომაია.

დავით ცომაია სარბიელზე გამოჩნდა იმ მძიმე წლებში, როცა ფეხბურთს მხოლოდ ნამდვილი ენთუზიასტები ემსახურებოდნენ, როცა ბურთის თამაში, მით უმეტეს მეკარეობა, არ იყო ადვილი საქმე, მთავარი ის კი არაა, რომ იგი ფეხბურთს თამაშობდა. ასეთები სხვებიც იყვნენ და მერე დიდმა უმეტესობამ თავისი გზა მონახა, დავით ცომაიამ კი თავი გამოიჩინა არა მარტო როგორც კარგმა ფეხბურთელმა, იგი დაჯილდოებული იყო ორგანიზატორული ნიჭითაც. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის „დინამოს" შექმნაში. ენთუზიასტები, რომლებსაც სწამდათ საქართველოს საუკეთესო, უძლიერესი გუნდის შექმნის აუცილებლობა და მნიშვნელობა, დიდი მონდომებით შეუდგნენ ასეთი კოლექტივის ჩამოყალიბებას „დინამოს" ბაზაზე და გარდა იმისა, თვითონ რომ თამაშობდნენ, ეძებდნენ კარგი მომავლის მქონე, ნიჭიერ ფეხბურთელებსაც, ურთებდნენ მათ დინამოელთა რიგებს. ეს იყო დიდი, საშვილიშვილო საქმე, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართული ფეხბურთის შემდგომ მძლავრ წინსვლას.

ვინ მოთვლის, რამდენი რთული პრობლემა აქვთ გადაჭრილი მაშინდელი თაობის ადამიანებს, რამდენი სიძნელე გადალახეს ჩვენში ფეხბურთის განვითარებისთვის. და ამ მებრძოლ ადამიანთა შორის მუდამ იყო დავით ცომაია. იგი მწვრთნელი იყო და გამუდმებით ეძებდა მზარდ ტალანტებს, თვითონ მსაჯობდა, თანაც ამზადებდა და ზრდიდა ახალგაზრდა მსაჯებს, გადასცემდა მათ თავის ცოდნას, ასწავლიდა. ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში ათეული წლების მანძილზე მუშაობის პერიოდში დავით ცომაიამ თავი გამოიჩინა როგორც პრინციპულმა, საქმის მცოდნე, კვალიფიციურმა მუშაკმა, მუდამ ბოლომდე მიჰყავდა დაწყებული საქმე, არ დაუხევია უკან, წუთითაც არ შეუქცევია ზურგი ფეხბურთისთვის, არ მიუტოვებია საზოგადოებრივი საქმიანობა.

70 წლის ასაკში ადამიანი, ჩვეულებრივ, უფლებას აძლევს საკუთარ თავს დასვენებაზე იფიქროს. ამისი სრული უფლება აქვს დავით ცომაიასაც, მაგრამ გული მას მაინც ფეხბურთისკენ, მწვანე მინდვრისკენ მიუწევს, სადაც მისი შვილთაშვილების ტოლი ჭაბუკები და ბავშვები დარბიან, სადაც იზრდებიან და უნდა გაიზარდონ ახალი ოსტატები, ჩვენი ფეხბურთის ახალი თაობები.

დიდ მადლობას ვუძღვნით მას ასეთი დაუღალავი, გულმოდგინე, მუყაითი შრომისთვის, ფეხბურთისადმი ასეთი სიყვარულისთვის.

ზ. პაიჭაძე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

### ფეხბურთის დიდი ენთუზიასტი

დავით ცომაიას თამაში პირველად ვნახე, აღარ მახსოვს, 1927 თუ 1928 წელს, ლენინის სახელობის სტადიონზე. იგი მაშინ თბილისის „მეტალისტში" გამოდიოდა. იმ დროს თბილისში კარგი მეკარეები იყვნენ — პოპკოვი, მაღლოევი და მათთან ერთად — დავით ცომაიაც. იგი გამოირჩეოდა საზრიანი თამაშით, გაბედულებით, ორიენტაციით, სწრაფი ნახტომებით. ვფიქრობ, სწორედ იმ პერიოდში ჩაეყარა საძირკველი თბილისელ მეკარეთა სკოლას, რომელიც მუდამ სამაგალითო იყო საბჭოთა ფეხბურთში.

შემდგომში, როცა მოზარდთა გუნდებში ვთამაშობდი, დავით ცომაია მსაჯობდა და საკუთარი გამოცდილებით ვიცი მისი პრინციპულობა, ყველა რთულ სიტუაციაში გარკვევის უნარი.

1936 წელს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოაწყო მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი არბიტრები დავით ცომაია და ა. იოსავა. არ დამავიწყდება, რა გულმოდგინებით, საქმის ცოდნით და მონდომებით გვასწავლიდნენ ისინი თამაშის წესების ყოველ პუნქტს, თითოეულ დეტალს. შემდეგ, სემინარებზე პრაქტიკული მსაჯობის დროს, დავით ცომაია პრაქტიკანტთან ერთად დარბოდა მინდორზე სასტვენით ხელში. თუ რამე გამოგვეპარებოდა, მყისვე შეაჩერებდა თამაშს და იქვე, როგორც იტყვიან, „ცხელ კვალზე" გაგვირჩევდა ხოლმე განვლილ ეპიზოდს, გაგვიმარტავდა დაშვებულ შეცდომას. ასეთი მეთოდი, უდავოდ, ძალიან სასარგებლო იყო ახალგაზრდა მსაჯებისთვის.

მაშინ კომიტეტში არ იყო ფეხბურთის განყოფილება. მუშაობდა ერთი კაცი და ის განაგებდა რესპუბლიკურ ჩემპიონატს, ნიშნავდა მსაჯებს, აწარმოებდა მთელ საქმეებს. ეს კაცი დავით ცომაია გახლდათ.

შემდგომში დავით ცომაიასთან ერთად ვმუშაობდი თბილისის 35-ე სკოლაში, იგი აქაც გამოირჩეოდა პრინციპულობით, საქმის ცოდნით.

ათეული წლების მანძილზე დავით ცომაია არ ჩამოშორებია ფეხბურთს. ახლაც, 70 წლის კაცი, ქართულ ფეხბურთს ემსახურება და, როგორც მუდამ, მთელ თავის მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას საყვარელ საქმეს ახმარს.

ვ. შავდია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## რესპუბლიკურიდან — საკავშიროში

ჭაბუკ ძიუდოისტთა პირადმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა, რომელიც ამას წინათ ფალავანთა კლუბში ჩატარდა, საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლების მოწმენი გაგვხადა. ასპარეზობის მონაწილეებმა კარგი ფიზიკური მომზადება გამოავლინეს. ბევრი შეხვედრა ვადამდე დამთავრდა, ეს კი იმას მოწმობს, რომ ჭაბუკი ძიუდოისტები კარგად ერკვევიან ჭიდაობის ნიუანსებში.

შეჯიბრების შემდეგ მწვრთნელებმა შეადგინეს რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც სულ მალე მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ჩემპიონატში. ნაკრებში, რა თქმა უნდა მოხვდნენ ამ ტურნირში გამარჯვებულნიც.

58 კგ წონით კატეგორიაში ჯგუფური ასპარეზობა დამაჯერებლად მოიგეს თბილისელებმა პ. ჭამუტაშვილმა და ტ. ნამგალაურმა. გადამწყვეტ ორთაბრძოლაში იმარჯვა ნამგალაურმა, რომელმაც ქულებით სძლია მეტოქეს და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა.

ეს იყო ერთადერთი ფინალური ბრძოლა, რომელშიც მეტოქეებმა მთლიანად ამოწურეს დროის ლიმიტი. დანარჩენი შეხვედრები კი ვადამდე დასრულდა.

65 კგ წონით კატეგორიაში გორელმა თ. გუჩმაზოვმა წმინდად მოუგო თბილისელ დ. ხაბულიანს. ზომიერი წონის (75 კგ) ფინალშიც ერთმანეთს თბილისელი და გორელი ძიუდოისტები შეხვდნენ. ი. სიდამონიძემ (გორი) წმინდად მოიგო ყველა ბრძოლა, მათ შორის გადამწყვეტიც — ი. მეტრეველთან.

85 კგ წონაში უძლიერესი იყო თბილისელი ე. დამადაევი, რომელმაც ვადამდე დაამარცხა თანაქალაქელი თ. ხიზამბარელი.

მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა ზ. ქოჩეჩაშვილი. ფინალში მან წმინდად მოუგო კასპელ ნ. ნუგზარაშვილს.

ც. ფაქიაძე.

ძიუდო

## თავს ვერ გაიმართლებენ

საგარეჯოში ჩატარდა ძიუდოისტთა ტურნირი „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადის პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქებისა და რაიონების 10 ნაკრები კოლექტივი.

ტურნირმა გამოავლინა პერსპექტიული მოჭიდავეები. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ სოხუმელი არქანია და რუსთაველი ჰასანოვი. მისასალმებელია, რომ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს დასავლეთ საქართველოს რაიონების წარმომადგენლებმა. სამწუხაროდ, საგარეჯოში ვერ ვიხილეთ თელაველი და გურჯაანელი ძიუდოისტები.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი თბილისის ნაკრებმა დაიკავა, II ადგილზე გავიდა ქუთაისი, III — საგარეჯო. პირად ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: მ. კენჭაძე (თბილისი), გ. კობახიძე (საგარეჯო), გ. აბრამიშვილი (თბილისი), თ. ერემაშვილი (ქუთაისი), თ. ბედოევი (თბილისი).

თ. არაბული,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

# მრავალი შესაძლებლობა და ერთადერთი გოლი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 25 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0.

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, მუჯირი, გავაშელი, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, წერეთელი.

„შახტიორი“: დეგტიარიოვი, იურეცკი, ზვიაგინცევი, შუკოვი, გუბიჩი, ვენკევიჩი, ვასინი, სოკოლოვსკი, სტარუხინი, დუდინსკი, საფონოვი.

მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

მეტოქეებს სატურნირო მდგომარეობა აიძულებდათ ყოველი ღონე ეხმარათ 2 ქულის მოხვეჭისთვის. მასპინძლებს სატურნირო ცხრილში მათთვის უჩვეულო ბოლო ადგილი ეკავათ და უნდა ცდილიყვნენ, რაღაც უნდა დასჯდომოდათ, ამ უსიამო ზონიდან თავი დაეღწიათ. სტუმრებს კი გამარჯვების შემთხვევაში ლიდერთა ჯგუფში შეჭრილოთ ადგილის დამკვიდრება. მატჩის დასაწყისმა ეს ვარაუდი სანახევროდ გაამართლა. დინამოელთა აგრესიულ განწყობილებას სტუმრებმა თავიანთი კარის მისადგომების მასირებული დაცვითი ზღუდეების შექმნით უპასუხეს და ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელი იყო წარმატებაზე ფიქრი. ცენტრალური თავდამსხმელის როლის შესრულება მ. მაჩაიძეს ჰქონდა დაკისრებული და უნდა ითქვას, დინამოელთა მწვრთნელების ამ ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. მ. მაჩაიძე ბევრს მოძრაობდა, თკ ლი სულ დეგტიარიოვის კარისკენ ეჭირა და გოლის გატანისთვის ოდნავ ხელსაყრელ მომენტსაც არ უშვებდა ხელიდან. მას რომ პირველ ტაიმში ცოტა მხარდაჭერა ჰქონოდა გუცაევის მხრიდან, ვინ იცის, რა მოხდებოდა. მაგრამ თბილისელთა მარჯვენა გარემარბს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა მცველი გუბიჩი, რომელიც დასაშვები თუ დაუშვებელი ილეთებით ცდილობდა ამ სახიფათო ფორვარდის შეტევების უვნებელყოფას.

სტუმრებიც ფიქრობდნენ წარმატების მოპოვებას, მაგრამ მათს ეპიზოდურ შეტევებს თბილისელთა დაცვა წარმატებით იგერიებდა. დინამოელთა იერიშები გრძელდებოდა. ასათიანი ჩვეულებისამებრ კარგად დირიჟორობდა პარტნიორების მოქმედებას, კარის ალყის ოპერაციებში მცველები ჰელიძე და ძოძუაშვილიც მონაწილეობდნენ, მაგრამ უშეცდომოდ თამაშობდა დეგტიარიოვი, რომელმაც რამდენიმეჯერ იხსნა თავისი კარი აშკარა გოლისგან. გადიოდა წუთები, გოლი კი არ ჩანდა.

და აი, 26-ე წუთზე „შახტიორის“ კარისკენ გაჭრილმა გავაშელმა დროით შენიშნა მ. მაჩაიძე და ბურთი ზუსტად გადააწოდა მას. ამ უკანასკნელმა ოსტატურად აუარა გვერდი მეტოქეთა რამდენიმე მცველს და ბურთი ზუსტად დაარტყა კარის ძარცხენა დაბალ კუთხეში. რამდენიმე წუთის შემდეგ დონეცკელებს კინაღამ მეორედ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება, მაგრამ ისინი კვლავ მეკარე დეგტიარიოვმა იხსნა, როცა გ. მაჩაიძის მიერ შორი მანძილიდან ზუსტად დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია.

შესვენების შემდეგ თბილისელთა უპირატესობა უფრო მკვეთრად გამოისახა. მეტოქის კარს ორივე ფლანგიდან სახიფათოდ უტევდნენ წერეთელი და გუცაევი. ამ უკანასკნელის შეჩერება ამჯერად გუბიჩმა ველარ შეძლო და სტუმრებმა მარჯვენა ფრთა დამატებითი ფეხბურთელებით გაამაგრეს. მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. ამ მატჩში თბილისელ ფორვარდს, სულ ცოტა, ორი ბურთი მაინც უნდა გაეტანა, ამდენივე მისი ზუსტი გადაცემებიდან უნდა გასულიყო, მაგრამ, როგორც მუდამ, იშვიათი სიზუსტით მოქმედებდა მეკარე დეგტიარიოვი.

გამარჯვებული გუნდის მისამართით სასაყვედურო მაინცდამაინც არაფერი გვაქვს, ოღონდ ესაა, რომ დინამოელები იმ მომენტებში, როცა გოლი თითქოს გარდაუვალი იყო, სიზუსტეს ვერ იჩენდნენ. და თუ სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა, ამის მიზეზი ის იყო, რომ კარის აღების მრავალი შესაძლებლობიდან თბილისის დინამოელებმა მხოლოდ ერთი გამოიყენეს.

მ. დუგლაძე.

• • •



სურათზე: მომენტი სტუმრების კართან.

ი. იუნაევის ფოტო.

## გუშინდელი შედეგები

გუშინწინ გაიმართა პირველობის XI ტურის კიდევ ხუთი შეხვედრა.

ცსკა — „დინამო“ (კიევი) 1:1. პირველ ტაიმში გოლი არ გასულა. მატჩის 57-ე წუთზე არმიელმა თავდამსხმელმა სმირნოვმა შორიდან დარტყმით გახსნა ანგარიში. კიეველმა კოლოტოვმა საპასუხო გოლი 75-ე წუთზე გაიტანა.

„ზენიტი“ — „კარპატი“ 1:0. ლენინგრადის კოლექტივი ერთადერთი გუნდია, რომელსაც წლევანდელ ჩემპიონატში მარცხის სიმწარე არ განუცდია. „ზენიტმა“ თავი არც ამჯერად შეირცხვინა. შეხვედრა ლენინგრადელთა ერთგვარი უპირატესობით ჩატარდა. მასპინძლებმა ერთი გოლის გატანა 55-ე წუთზე შეძლეს (ნახევარმცველი სტრეპეტოვი).

„არარატი“ — „ზარია“ 4:2. საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და ექსჩემპიონის შეხვედრამ სომხეთის სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. ანგარიში მე-14 წუთზე სტუმრებმა გახსნეს (შილინი), მაგრამ თერთმეტი წუთის მერე იშტოიანმა საპასუხო გოლი გაიტანა. შეხვედრის 48-ე წუთზე სტულჩინმა „ზარია“ ისევ დააწინაურა და ისევ იშტოიანმა გაათანაბრა ანგარიში (56-ე წუთი, პენალტი). დარჩენილ დროში კაზარიანმა (64-ე წუთი) და მარქაროვმა (68-ე წუთი) „არარატს“ გამარჯვება მოუტანეს.

„ჩერნომორეცი“ — „ქაირატი“ 3:3. ალმაათელმა მარტიანმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნა. მე-16 წუთზე ოდესელთა კომბინაცია ზუბკოვმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა შესვენებამდე 8 წუთით ადრე სტუმრები ისევ დაწინაურდნენ (ხისამუტდინოვი). შესვენების შემდეგ „ქაირათი“ კიდევ ერთი გოლით დაწინაურდა (ეკდოკიმოვი), მაგრამ ალმაათელებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს — ოდესელებმა ძიუბამ და მაკაროვმა ორი საპასუხო გოლი გაიტანეს. მსაჯთან კამათისთვის იევმბერდიევს („ქაირათი“) გაფრთხილება მიეცა.

„ნისტრუ“ — „პახთაქორი“ 0:1. ისაკოვმა გამარჯვების მაუწყებელი გოლი შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გაიტანა.

## სუპერლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 6 | 4 | 1 | 15—7 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 5 | 6 | 0 | 12—6 | 16 |
| „ქაირათი“ (ალმა ათა) | 11 | 4 | 4 | 3 | 22—18 | 12 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 6 | 2 | 12—9 | 12 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 4 | 4 | 3 | 12—10 | 12 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 11 | 3 | 6 | 2 | 15—15 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 4 | 3 | 4 | 12—11 | 11 |
| ცსკა | 11 | 3 | 4 | 4 | 17—17 | 10 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 11 | 3 | 4 | 4 | 13—14 | 10 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 3 | 4 | 4 | 8—10 | 10 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 9 | 3 | 3 | 3 | 7—8 | 9 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 11 | 3 | 3 | 5 | 13—15 | 9 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 11 | 2 | 5 | 4 | 9—11 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 2 | 5 | 3 | 5—12 | 9 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 11 | 2 | 4 | 5 | 13—16 | 8 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 10 | 2 | 3 | 5 | 3—9 | 7 |

## II ლიგა III ზონა

### წაგება დიდი ანგარიშით

სამტრედიის „ლოკომოტივი“ ლენინაკანში ადგილობრივ „შირაკს“ შეხვდა. სტუმრებმა უხეიროდ ითამაშეს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:4.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 16 | 9 | 4 | 3 | 26—13 | 22 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 15 | 7 | 6 | 2 | 17—5 | 20 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 15 | 9 | 2 | 4 | 19—9 | 20 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 13 | 8 | 3 | 2 | 19—8 | 19 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 15 | 8 | 3 | 4 | 23—14 | 19 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 15 | 8 | 2 | 5 | 24—14 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 15 | 7 | 3 | 5 | 27—18 | 17 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 15 | 8 | 0 | 7 | 21—17 | 16 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 15 | 6 | 4 | 5 | 16—16 | 16 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 15 | 6 | 4 | 5 | 17—23 | 16 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 15 | 3 | 9 | 3 | 21—20 | 15 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 16 | 7 | 1 | 8 | 16—17 | 15 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 19—18 | 14 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 14 | 5 | 4 | 5 | 18—20 | 14 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 15 | 3 | 5 | 7 | 12—18 | 11 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 15 | 4 | 2 | 9 | 13—22 | 10 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 15 | 3 | 4 | 8 | 11—22 | 10 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 14 | 3 | 4 | 7 | 12—29 | 10 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 15 | 3 | 3 | 9 | 6—19 | 9 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 15 | 3 | 1 | 11 | 12—27 | 7 |

## WM-74 13/VI — 7/VII

### მწვრთნელებმა ენა ამოიდგეს

ჩემპიონატის დაწყების წინ მწვრთნელთა უმრავლესობა გაურბოდა ჟურნალისტებთან საუბარს. ახლა კი, როცა ცნობილი გახდა ჯგუფური ტურნირების შედეგები, მწვრთნელებმა ენა ამოიდგეს. ისინი თამამად აკრიტიკებენ თავიანთს მოთამაშეებს, აფასებენ სხვებს, მაგრამ საბოლოო პროგნოზებისგან მაინც თავს იკავებენ.

ჰელმუტ შიონი (გფრ): ჩვენი ნაკრები განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე დგას. ვფიქრობ, დასავლეთგერმანულმა პრესამ ნაადრევად მოგვაკუთვნა ფავორიტის როლი. ჩვენ გვისტვენენ ტრიბუნებიდან, თუ 90 წუთის მანძილზე მთელი დატვირთვით არ ვთამაშობთ. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჯგუფური ტურნირების შედეგების მიხედვით საბოლოო დასკვნების გამოტანა.

მარიო ზაგალო (ბრაზილია): მე ოპტიმისტი ვარ, ჩვენმა გუნდმა მიაღწია პირველ მიზანს — გავიდა ფინალურ ჯგუფში. დავამტკიცებთ, რომ უკეთ შეგვიძლია თამაში უფრო ძლიერ მეტოქეებთანაც. ყველაფერს ვაკეთებ, რომ დავამშვიდო განერვიულებული ფეხბურთელები. მათ არასდროს უთამაშიათ ისე სუსტად, როგორც ზაირის გუნდთან შეხვედრაში.

კაზიმეჟ გურსკი (პოლონეთი): ამ ეტაპზე განზრახული გვაქვს შევცვალოთ სტილი. წინასწარ მატჩებში ჩვენი მეტოქეები სამხრეთამერიკული სკოლის წარმომადგენლები იყვნენ. ახლა კი ევროპელებთან — შვედებთან, იუგოსლაველებთან და გერმანელებთან გვიწევს თამაში. ვფიქრობ, ისინი უფრო საშიში მეტოქეები არიან.

გეორგ ერიქსონი (შვეცია): მე ტელევიზორით ვნახე პოლონეთის ნაკრების მატჩი იტალიელებთან. გურსკის გუნდმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ ჩვენებმაც ინერცია აიღეს. როგორც იქნა, ათამაშდა ედსტრიომ — სანდბერგის ტანდემი, რომელზეც ესოდენ დიდ იმედებს ვამყარებთ.

რინუს მიხელსი (ჰოლანდია): ჯგუფურ ტურნირში არავითარი სიძნელე არ გვქონია, ახლა კი „საიდუმლო ფავორიტის“ (ასე მონათლეს ჟურნალისტებმა ჰოლანდიის გუნდი. რედ.) მდგომარეობა ბევრს გვავალებს. სუსტი გუნდები აღარ დარჩა, ჩვენ უნდა შევხვდეთ გდრ-ის მძლავრ გუნდს, ზაგალოს „გაბრაზებულ ბიჭებს“ და არგენტინის ნაკრებს, რომელიც დღითი დღე აუმჯობესებს თამაშს.

ვილი ორმონდი (შოტლანდია): ბედმა აშკარად გაგვწირა. ბრაზილიელებზე და იუგოსლაველებზე ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ისინი განაგრძობენ ბრძოლას, ჩვენ კი შინ მივემგზავრებით. ყველაფერი გადაწყვიტა იმან, რომ ზაირის ფეხბურთელებთან შეხვედრაში ცოტა გოლი გავიტანეთ.

ფერუჩიო ვალკარეჯი (იტალია): იტალიელი ფეხბურთელების სუსტი თამაში სიურპრიზია ჩემთვის. მათ თავიანთი შესაძლებლობების ნახევარიც კი ვერ გამოავლინეს. ვფიქრობ, ყველაფერი თავიდან რომ დაიწყოს, უკეთ ვითამაშებდით.

### ჯგუფური ტურნირების ყველა გოლი

ჯგუფური ტურნირების 24 მატჩში ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო 0:0. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს X ჩემპიონატი გამოირჩევა შედეგიანობით, ნულოვანი ფრე ხუთ მეხვედრაში აღინიშნა.

სამ-სამი მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0, 2:0, 1:1 და 3:0. ორჯერ აღინიშნა შედეგი 4:1, თითოჯერ 2:1, 3:2 და 3:1. ჩემპიონატის სარეკორდო შედეგებად ითვლება 9:0 და 7:0.

სულ ჩემპიონატის I ეტაპზე გატანილია 61 გოლი. აი, როგორ განაწილდა ეს გოლები ცალკეულ მოთამაშეებზე (ჯგუფების მიხედვით):

I ჯგუფი. ბრაიტნერი, ოვერატი, კულმანი, მიულერი (ყველა — გფრ), შტრაიხი, ჰოფმანი, შპარვასერი (ყველა — გდრ), აჰუმადა (ჩილი) — 1-1 (ერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა ავსტრალიელმა კურანმა).

II ჯგუფი. ბაევიჩი (იუგოსლავია) — 3, ჯორდანი (შოტლანდია) — 2, ჯაიჩი, სურიაკი, კატალინსკი, ბოგიჩევიჩი, ობლაკი, პეტკოვიჩი, კარასი (ყველა — იუგოსლავია), ჟაირზინიო, რიველინო, ვალდომირო (ყველა — ბრაზილია), ლორიმერი (შოტლანდია) — 1-1.

III ჯგუფი. რეპი (ჰოლანდია) — 3, ნეესკენსი (ჰოლანდია), ედსტრიომი (შვეცია) — 2-2, ბონევი (ბულგარეთი), პავონი (ურუგვაი), დე იონგი (ჰოლანდია), სანდბერგი (შვეცია) — 1-1 (ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა ჰოლანდიელმა კროლმა).

IV ჯგუფი. ა. შარმაჩი (პოლონეთი) — 5, ლატო (პოლონეთი) — 4, დეინა (პოლონეთი), ჰაუსმანი, იასალდე (ორივე — არგენტინა), სენონი (ჰაიტი) — 2-2, რივერა, ბენეტი, ანასტაზი, კაპელო (ყველა — იტალია), ერედია, ბაბინგტონი, აიალა (ყველა — არგენტინა), გორგონი (პოლონეთი) — 1-1 (ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა არგენტინელმა პერფიუმომ).

ჩემპიონატის სნაიპერები:

ა. შარმაჩი (პოლონეთი) — 5
ლატო (პოლონეთი) — 4
რეპი (ჰოლანდია) — 3
ბაევიჩი (იუგოსლავია) — 3
ჯორდანი (შოტლანდია) — 2
სენონი (ჰაიტი) — 2
დეინა (პოლონეთი) — 2
ჰაუსმანი (არგენტინა) — 2
იასალდე (არგენტინა) — 2
ედსტრიომი (შვეცია) — 2
ნეესკენსი (ჰოლანდია) — 2.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10686